ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 02/01/163
(CPV 14800000)

ქ. თბილისი 06 ივნისი, 2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორი ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ შპს "ინტერტექნოლოგი" (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ირაკლი ბარიშვილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონის შესაბამისად, მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით (პროგრამა „ადმინისტრაციული მართვა და კონტროლი), დაბა ჩაქვში, სოფელ ხრეითისა და სოფელ კორბოულში არსებულ სოფლის სახლებში, გატეხილი კარებისა და ვიტრაჟების მინაპაკეტების, სახელმწიფო შესყიდვა, თანმდევი მომსახურებით მონტაჟით.

2.2 შესყიდვის ობიექტის ზომები, რაოდენობა და დეტალური ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი #1-ის სახით, რომელიც თანერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4152.14 (ოთხი ათას ასორმოცდათორმეტი ლარი და 14 თეთრი) ლარს, თანმდევი მომსახურებით, ტრანსპორტირებისა, მონტაჟისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით .

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება შემცირდეს/დაზუსტდეს ფაქტირად გაწეული სამუშაოს შესაბამისად.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით და ხელშეკრულების დანართი #1-ით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება თანმდევი მომსახურებით;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების გაფორმებაზე ფასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახურის უფროსი მერაბ ფოლადაშვილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსგს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ბოკუჩავა.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდების თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) ადგილებია:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვში არსებული „საზოგადოებრივი ცენტრი";
2. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრეითში არსებული „საზოგადოებრივი ცენტრი";
3. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულში არსებული „საზოგადოებრივი ცენტრი"

6.2 საქონლის მიწოდება თანმდევი მომსახურებით ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **6** (ექვსი) სამუშაო დღე.

6.3 მიწოდებულ შესყიდვის ობიექტთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

6.4 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

6.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტი დასახელება, რაოდენობა და ფასი, მიღება ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, მოწოდებული შესყიდვის ობიექტი შესაბამისად.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებეული შესყიდვის ობიექტის თანმდევი მომსახურებით მიწოდებისას მხარეები ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობის დადგენას რის შემდგომაც დგება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება ჩაბარებულად.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.
2. ანგარიშსწორების ვადა - მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 20 (ოცი) დღე.
3. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

9. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერტო ღირებულების ღირებულების 0.4%-ის ოდენობით;

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

10.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით,

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. ფასები

16.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვ. თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

17. სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18. ხელშეკრულების დანართი

18.1 ხელშეკრულების დანართი #1 - ხარჯთაღრიცხვა.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
ს/კ – 202307404
წარმოდგენილი მხარდაჭრის დეპარტამენტის
დირექტორის ნინო ინწკირველის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი,
აკ. წერეთლის გამზ 67ა,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. # GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22

ნინო ინწკირველი

მიმწოდებელი:

შპს "ინტერტექნოლოგი"

ს/კ – 205204107
წარმოდგენილი დირექტორის
ირაკლი ბარიშვილის სახით
მისამართი: ქ. თბილისი,
დ. დიღომი III-მიკ, V კორპ, ბ. 68
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE44BG 000 000 060 767 6500,
სს "საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22

ირაკლი ბარიშვილი

ჩაქვის, კორბოულის და ხრეითის საზოგადოებრივ ცენტრებში გატეხილი მინაპაკეტების შეცვლა

სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

ხელშეკ. დანართი #1

№	სამუშაოებისა და მასალების ჩამონათვალი	განზ.	რაოდენობა	სართო ფასი	ჯამი
	1	**2**	**3**	**4**	**5**
1	კორბოული-მინაპაკეტი (გარე შუშა 6მმ-იანი ტონირებული, შიდა 4მმ-იანი) (1.1x2.5). თანმდევი მომსახურებით	$მ^2$	2.80	160.00	448
2	ხრეითი-მინაპაკეტი (გარე შუშა 6მმ-იანი ტონირებული, შიდა 4მმ-იანი) (0.8x2.3 ცალი-1), (1.5x2.3 ცალი-3). თანმდევი მომსახურებით	$მ^2$	12.20	160.00	1952
3	ჩაქვი- მინაპაკეტი (გარე შუშა 6მმ-იანი ტონირებული, შიდა 4მმ-იანი) (1.1x2.5). თანმდევი მომსახურებით	$მ^2$	2.80	160.00	448.00
	ჯამი				2848.00
	ზედნადები ხარჯები	10%			284.80
	ჯამი				3132.80
	გეგმიური დაგროვება	8%			250.62
	ჯამი				3383.42
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	4%			135.34
	ჯამი				3518.76
	დ.ღ.გ	18%			633.38
	სულ ჯამი				4152.14

შენიშვნა: ზომები დაზუსტდეს ადგილზე მიმწოდებლის მიერ.